საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020165199081821

ქ. ბათუმი

№ 01/01/72 07 / ივლისი / 2021 წ.

სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში“ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში“ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი თანდართული სახით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 16 დეკემბრის N085 ბრძანება ,,სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ .

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსს ნათია ჯანელიძეს.

დანართი

სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში“ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში (შემდგომში სააგენტო) საჯარო ინფომაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესს.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1.საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა ან ადმინისტრაციულმა ორგანომ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით

დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან ელექტრონულ მისამართზე: info@mta.gov.ge , public@mta.gov.ge ან/და სააგენტოს ვებ- გვერდზე.

3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას უნდა ახლდეს:

ა) ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, მისამართი ან ელ.ფოსტის მისამართი, რაზედაც უნდა გაიგზავნოს საჯარო ინფორმაცია;

ბ) ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის ან/და ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, მისამართი ან ელ.ფოსტის მისამართი, რაზედაც უნდა გაიგზავნოს საჯარო ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელის პირის სახელი, გვარი;

გ) მითითება საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმის შესახებ - ელექტრონული ფოსტის საშუალებით, CD დისკზე/ან ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი, მატერიალური სახით თუ დედანში გაცნობის გზით.

4. სააგენტო იტოვებს უფლებას არ განიხილოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი ელექტრონული ფორმით მოთხოვნა.

მუხლი 3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. ელექტრონული მისამართის info@mta.gov.ge, public@mta.gov.ge ან/და სააგენტოს ვებ გვერდის მეშვეობით ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გადის რეგისტრაციას დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს-ში) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფლებამოსილი პირის (კანცელარიის ოპერატორის) მიერ და მის გაცემას უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაცის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

2. ელექტრონულად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის ათვლა დაიწყება განცხადების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს და გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განცხადებაში მითითებული ფორმით.

4. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნას ელექტრონულად, მაშინ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იტოვებს უფლებას, დაინტერესებული მხარის თანხმობის შემთხვევაში, განახორციელოს მისი კომპაქტურ დისკზე ჩაწერა ან მატერიალური სახით გაცემა და მხარეს გადაახდევინოს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

5. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში არ იქნება მითითებული მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიღების შესახებ, სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იტოვებს უფლებას, დაინტერესებული მხარის თანხმობის შემთხვევაში, საჯარო ინფორმაცია გასცეს ელექტრონული ფორმით.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ იოსელიანი